პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ოთხშაბათი, 4 მარტი 1925 წ. | წლიწადი მეხუთე | ფასი 3 კაპ.

# წითელი მეომარი

№ 48 (736) 1 და 2 ქ. მ. დ. პოლიტ-განების ყოველდღ. გაზეთი

რედაქც. მის. ტფ., ევანგულოვის ქუჩა ტელ. 2—24
განცხადების ფასი პირველ გვერდზე 40 კაპ.—მეოთხეზე 20 კაპ. ჩერვონეც. ნომპარელის სტრიქონ სამგლოვიარო განცხადება 3 მან. ჩერვ. განცხადებები მორიგ ნომერში მიიღება მხოლოდ 1 საათამდე

## გამოაცოცხლეთ საჰაერო ფლოტის მეგობართა საზოგადოების უჯრედების მუშაობა.

მალე შესრულდება ორი წელი, რაც დაარსებულ იქნა საჰაერო ფლოტის მეგობართა საზოგადოება. როგორც ვიცით ამ საზოგადოების დანიშნულება იყო საჰაერო ფლოტის გაძლიერება საბჭოთა—კავშირში და ავიაციის პროპაგანდა მშრომელთა მასებში. უნდა ითქვას რომ ამ შედარებით მცირე ხნის განმავლობაში საჰაერო ფლოტის საზოგადოებამ მეტად დიდი მუშაობა ჩაატარა. როგორც მის მოწოდებიდან ირკვევა მას აქვს ამჟამად ხუთი მილიონი თანხა. ორი წლის განმავლობაში მან გამოუშვია 100 მეტი სამხედრო და 25 სამოქალაქო თვით მფრინავები. აგრეთვე ფართედ ჩაუტარებია ავიაციის პროპაგანდა და აგიტაცია მშრომელთა მასებში. ერთი სიტყვით საჰაერო ფლოტის მეგობართა საზოგადოების ორი წლის მუშაობა. ნათლად გვიმტკიცებს მას, რომ ის მეტად საჭირო, შეცილებელი დაწესებულებაა, რომელმაც ბრწყინვალედ გაამართლა მასზე დაკისრებული იმედები.

ყოველივე ამას საზოგადოებამ მიაღწია მხოლოდ იმიტომ, რომ ამ საქმეში ფართედ ჩაებმენ მუშები და გლეხები. სწორედ მათი ენერგიული დახმარებით და შემწეობით იქმნა გაკეთებული დიდი მუშაობა წითელი ავიაციის შექმნის საქმეში. მაგრამ ყოველივე ეს სრულიად არ ნიშნავს მას, რომ საჰაერო ფლოტის მეგობართა საზოგადოებამ უკვე შეასრულა თავისი დანიშნულება, მიაღწია მიზანს და ის აღარ არის საჭირო. ეს მეტის მეტად შემცდარი აზრია. პირიქით ჩვენი გადაუდებელ ამოცანას შეუდგენს მეტი ყურადღებით მოვეპყრათ ამ საზოგადოების უჯრედებს და უფრო ფართედ დავაბლანდოთ მათი ქსელი. მართალია ბევრი გაკეთდა წითელი ავიაციისათვის, მაგრამ ყოველივე ეს ცოტაა და სრულიად არ არის საკმარისი.

საბჭოთა კავშირის თავდაცვის საქმე მოითხოვს, რომ წითელი ავიაცია უფრო გაძლიერებული და გადიდებულ იქნას. აქედან ცხადია საჰაერო ფლოტის მეგობართა საზოგადოების როლი და მნიშვნელობა უფრო მეტად იზრდება და მის რიგების გაფორთოვებას საბჭოთა კავშირის მუშებმა და გლეხებმა ყოველ მხრივ ხელი უნდა შეუწყონ. ამ საქმეში ცხოველე მონაწილეობა უნდა მიიღოს წითელ-არმიამაც. ჩვენი დივიზიების ნაწილებში თითქმის ყველგან არის „დობროფლოტის“ უჯრედები, მაგრამ მეტ ნაწილად ისინი ქაღალდზე არსებობენ და არავითარ მუშაობას არ აწარმოებენ. საჭიროა ამ არა ნორმალურ მდგომარეობას დიდი ყურადღება მიაქციონ ნაწილის ხელმძღვანელებმა და გამოაცოცხლონ წითელი ავიაციის უჯრედები.

ამ საქმეს ეხლავე ხელი უნდა მოჰკიდონ, რომ საჰაერო ფლოტის მეგობართა საზოგადოების ორი წლის თავზე, მათ მიუტოლცონ ახალი წევრები ხსენებულ საზოგადოებას, რომელმაც გადმოისროლა ლოზუნგი 3 მილიონამდე აიყვანოს თავის წევრთა რიცხვი.

მეტი ყურადღება წითელ ავიაციას!

გავამრავლოთ საჰაერო ფლოტის მეგობართა საზოგადოების წევრები!

## რატომ მოიწვიეს ტფილისში ცაკის სესია.

**საუბარი საბჭოთა კავშირის მთავრობისა და ცაკის წევრებთან.**

ტფილისში, მე-3-ე სესიაზე მომავალ საბჭოთა კავშირის მთავრობისა და წარმომადგენლებმა გზა და გზა ისაუბრენ როსტას თანამშრომელთან ტფილისში სესიის მოწვევის მნიშვნელობის შესახებ.

ცაკის პრეზიდიუმის წევრმა, ამხ. რაკოვსკიმ განაცხადა:

„ჩვენ პირველ რიგში მივდივართ ტფილისში და არა სხვა დედა-ქალაქში, იმიტომ რომ უფრო თვალსაჩინოდ დავამტკიცოდ მთელი საბჭოთა კავშირის მტკიცე მეგობრობა საქართველოს და ამიერ-კავკასიის მშრომელებთან, რომელთა სამშობლოც წარმოადგენს აღმოსავლეთში რევოლიუციის მოწინავე რაზმს.

ცაკის პრეზიდიუმის წევრმა, ამხ. სკრიპნიკმა განაცხადა.

„ყველა საკავშირო რესპუბლიკებმა ერთსულოვნად აღიარეს საბჭოთა კავშირის დედაქალაქად მოსკოვი, როგორც მთელი ქვეყნების მშრომელთა იმედი.

**სესიის მოწვევა ტფილისში საბოლოოდ უსვამს ხაზს მენშევიკების იმედების გაკოტრებას.** ის უფრო შეაკავშირებს საქართველოს, სომხეთის, ადერბეიჯანის, აჭარისტანის, აბხაზეთის და დაღესტანის ოსებს, ე. ი. მთელი ამიერ-კავკასიის მშრომელებს საბჭოთა კავშირის მშრომელებთან.“

**ამხ. კალინინმა განაცხადა:**

„ცხადია სესიის გადატანა ტფილისში რამოდენიმედ შეაფერხებს მუშაობის ნორმალურად მსვლელობას. მაგრამ რათა თვალსაჩინოდ გაეხადა ხალხთა თანასწორ—უფლებიანობა და ეს შეგნება ღრმად განვითარებულიყო ფართე მასებში მთავრობამ გადასწყვიტა სესიის გახსნა ტფილისში და სწორადაც მოიქცა.

ამხ. პეტროვსკიმ განაცხადა:

„შეიძლება სესიის ჩატარება ტფილისში უფრო ძვირად დაგვიჯდეს, მაგრამ ხალხის ნება, რომელსაც სურს ნახოს მთელი კავშირის ხელმძღვანელები ყველაფერზე უფრო ძვირფასია და მაღლა დგას. ცარიზმის დროს ხალხსა და მთავრობის შორის ამართული კედელი დაინგრა.

დღეს თანასწორობა და ძმური ურთიერთობა თავდებია ყოველგვარ დაბრკოლებათა დაძლევის საქმეში.

**ამხ. ჩიჩერინმა განაცხადა:**

„ერთი რესპუბლიკიდან მეორეში მოგზაური-სახელმწიფოს უზენაესი ორგანო არის საბჭოთა კავშირში შემავალ ეროვნებათა თანხმობის სიმბოლო (გამოხატულება).“

## სახალინის ევაკუცია დაიწყო.

საბჭოთა კავშირსა და იაპონიას შორის დადებულ ხელშეკრულების თანახმად საბჭოთა კავშერის კუთვნილ სახალინის ნაწილს ათავისუფლებენ იაპონიის ჯარები. ჯარების გაყვანა დაიწყო 27 თებერვალს.

## მღელვარება საარჩევნო უფლებების გარშემო.

## რეაქციონერები ღმერთს იშველიებენ კანონ-პროექტის წინააღმდეგ.

იაპონიის მთავრობამ მიიღო კანონპროექტის შესწორება საყოველთაო არჩევნების შესახებ და ამით თავიდან აიშორა კოალიციას (ხვა და სხვა მიმართულება) განხეთქილება.

კანონ—პროექტს არჩევს ქვემო პალატა. მთელს იაპონიაში მიდის დემონსტრაციები და მოითხოვენ საყოველთაო საარჩევნო უფლებას.

მოსახლეობის რეაქციონური ნაწილი კანონ-პროექტის წინააღმდეგია. ესენი ლოცულობენ ეკლესიაში და ევედრებიან ღმერთს, რათა არ იქნას გაყვანილი კანონ—პროექტი. ერთი მიმართულება მოითხოვს, რომ საარჩევნო უფლება მიეცეს მხოლოდ ოჯახის უფროსებს.

## მუშათა გაფიცვები პოლონეთში.

ლოძში (პოლონეთში) რამოდენიმე ფაბრიკაში იფეთქა გაფიცვებმა. გაფიცულია 2.000 მუშა. მეპატრონეებმა გადასწყვიტეს საგრძნობლად შეამცირონ ფაბრიკის შტატები.

## გაფიცულთა გამარჯვება ინგლისში.

ლონდონის მკერავთა გაფიცვები გამარჯვებით დამთავრდა. მეპატრონეები დასთანხმდნენ 4 შილინგის მომატებაზე კვირაში.

## ესპანელ კომუნისტების დაპატიმრება.

ესპანეთის პოლიციამ დააპატიმრა ბარსელონაში 5 კომუნისტი. მათ აღმოაჩნდათ აფეთქება საბუთები.

## მასზედ ინაღვლებს მხოლოდ ბურჟუაზია და სოციალ გამყიდველები.

ამ დღეებში გარდაიცვალა გერმანიის პრეზიდენტი და სოციალ-დემოკრატიის ბელადი ებერტი. მისმა სიკვდილმა დიდი მღელვარება გამოიწვია გერმანიის სოციალ-დემოკრატებში.

მწუხარებით შეხვდა ამ ამბავს ბურჟუაზიაც. მაგრამ არც ერთი მუშას ებერტის სიკვდილის გაგონებაზე არ დაუტოვებია თავის სამუშაო დაზგა და არ გამოსულა ქუჩაზე სამგლოვიარო მანიფესტაციის მოსაწყობად, გარდაცვალებულ პრეზიდენტის ხსოვნის საპატივცემლოთ. რატომ?

რისთვის არ გამოვიდა გერმანელი პროლეტარი ქუჩაზე? რად შეხვდა ის ასე გულგრილად ებერტის სიკვდილს? ამის პასუხია ებერტის გამცემლური კონტრრევოლიუციონური მოღვაწეობა და საქმიანობა. ებერტი—ისე როგორც მისი პარტია—მთლიანად, საზიზღარი მოღალატე იყო მუშათა კლასის. ის ერთგულად იცავდა ბურჟუაზიის ბატონობას და უმოწყალოდ სდევნიდა მუშათა რევოლიუციონურ მოძრაობას.

„რევოლიუცია—ბოროტმოქმედებაა“, სთქვა მან, „ხოლო სპარტაკელები (ასე ეთქვა 1918 წ. პირველ კომუნისტურ ჯგუფს გერმანიაში) ბოროტმოქმედნი არიან“.

მთელი თავისი მოღვაწეობა ებერტმა შეწირა კაპიტალისტების სამსახურს. ის როგორც ერთგული მონა უტიფრად ასობით და ათი ათასობით ხვრეტდა კაპიტალის წინააღმდეგ ამხედრებულ გერმანელ მუშებს. ის არ ინდობდა არავის, ვინც იარაღს ისხამდა ბურჟუაზიის წინააღმდეგ. და გასაკვირიც არ არის ის გარემოება, რომ მისი გარდაცვალებით დღეს დიდათ დაწუხარებულია ბურჟუაზია.

ეს უკანასკნელი სტირის თავის ერთგული მოსამსახურეს დაკარგვას, ისე როგორც მონადირე ნანობს თავის საყვარელ ძაღლზე. გერმანელ მუშებს არაფერი არ აქვთ სანაღვლო. მათ მოშორდათ ერთი დიდ მტერთაგანი—გამცემი და მოღალატე, რომელსაც არასდროს არაფერი საერთო არ ჰქონია მუშათა კლასთან. „ებერტი არ იყო მუშათა მასების ბელადი. ის იყო ბურჟუაზიული მთავრობის პოლიტიკოსი, რომელზედაც დღეს ნაღვლობენ მხოლოდ ოფიციალური შენობები ნახევრად დახრილი დროშებით,“ ამბობს გერმანიის კომუნისტური გაზეთი, და მართლადაც ებერტის სიკვდილი ერთგვარი სიმბოლოა გამყიდველი სოციალ-დემოკრატიის ისტორიული გარდაცვალების.

ძველი დახავსებული ბურჟუაზიული წესწყობილება ინგრევა. ძირგამომპალ კაპიტალისტური შენობის გამაგრებას სცდილობს გამყიდველი სოციალ-დემოკრატია, მაგრამ შეუძლებს ის თავისი გახრწნილი სხეულით განწირულ ბურჟუაზიის ბატონობის დიდი ხნით გამაგრებას? არა. მას აღარ აქვს უკვე ის ძალა, რაც წინად ჰქონდა.

მისმა კონტრ-რევოლიუციონურ მოღვაწეობამ და ზნეობრივად გაკოტრებამ, ხელი შეუწყო მის მიერ დაბრუებულ მუშების რევოლიუციონურ გამოღვიძებას. პროლეტარული რევოლიუციის ძალები იზრდებიან, და მასთან ერთად დღითი დღე იხრწნება და სუსტდება სოციალ დემოკრატიაც. მის ბელადებს ხოტბას ასხამს არა პროლეტარიატი, არამედ ბურჟუაზია. მის გარდაცვლილ ბელადებს დასტირიან არა მუშები, არამედ კაპიტალისტები.

ებერტებზე იგლოვებენ მხოლოდ მჩაგვრელები, მყვლეფელნი და მათი მოციქულები.

გერმანიის პროლეტარიატი კი კომუნისტური პარტიის მეთაურობით მეტის ენერგიით და ენტუზიაზმით განაგრძობს პროლეტარული რევოლიუციის გამარჯვების საქმეს.

—ე.

## საჰაერო ფლოტის მეგობ. საზ-ბის მეორე წლის თავისთვის.

## ჩვენი საჰაერო ფლოტი ჩქარი ტემპით ძლიერდება.

საბჭოთა კავშირის საჰაერო ფლოტის მეგობართა საზოგადოების პრეზიდიუმმა მოწოდებით მიმართა ყველა მშრომელებს.

მოწოდებაში ნათქვამია:

„1923 წლის 8 მარტს დაარსებულ იქნა საჰაერო ფლოტის მეგობართა საზოგადოება. ამ ხნის განმავლობაში ეს საზოგადოება გადაიქცა საბჭოთა კავშირის ერთ-ერთ ძლიერ მუშურ-გლეხურ ორგანიზაციად. საზოგადოების ლოზუნგმა— „მშრომელო ხალხო, გააძლიერე თავისი საჰაერო ფლოტი“—მართლაც ჰპოვა გამოძახილი მშრომელთა შორის.

საზოგადოებამ შეაგროვა 5 მილიონი თანხა, გაატარადიდი საავიაციო აგიტაცია, ააგო, და ჩააბარა სამხედრო უწყებას საჰაერო რაზმები და ესკადრონები: „ულტიმატუმი“, „ილიჩი“, წითელი ბალტიელი“, „ლენინი № 1“, „წითელი მოსკოვი“, „ლენინი № 2“,— სულ ასამდე თვითმფრინავი. საზოგადოებამ შეიძინა 25 სააგიტაციო თვითმფრინავი, რომლებიც მუშაობენ საბჭოთა კავშირის სხვა და სხვა ადგილებში. საზოგადოება შეუდგა კიდევ მრავალ სხვა წამოწყებებს.

ჩვენი ლოზუნგია: სამი მილიონი ავიომცოდნე და საჰაერო ფლოტის შეგნებული წევრი.

## ამხ. ფრუნზეს წერილი.

რევსამხსაბჭოს თავმჯდომარის, ამხ. ფრუნზეს წერილში წითელი არმიის 7 წლის თავზე მილოცვების შესახებ ნათქვამია:

„საბჭოთა კავშირის ყოველი კუთხიდან მოდიოდა წითელი არმიის 7 წლის თავზე მისალმების წერილები, რომლებშიაც მშრომელები აცხადებენ, რომ ისინი მზად არიან საჭიროების დროს იარაღით ხელში დაიცვან საბჭოთა ხელისუფლება. ამ მეგობრულ ატმოსფერაში ჩვენი მუშაობა უფრო იმედითა და მხნედ განვითარდება.

ყველას, სალამის გამომგზავნთ, წითელი არმია თავის მხრივ უგზავნის თავის მეგობრულ სალამს და უღრმეს მადლობას.“

## კომუნისტების-საკოსა და რანცეტის სასარგებლოდ.

ამერიკის მრავალ ქალაქებში გაიმართა მიტინგები პასუხის გებაში მიცემულ იტალიელ კომუნისტების—საკოსა და რანცეტტის სასარგებლოდ.

## სოციალ-დემოკრატიის მიცვალებულები.

ამ სათაურით გაზ. „პრავდა“-ში მოთავსებულია წერილი, რომელშიაც ნათქვამია:

„ერთი-მეორეზე ჩაესვენა სამარეში სოციალ-დემოკრატიული მოძრაობის მოღვაწენი: ებერტი, ბრანტინგი, ლიანი—ნორვეგიის პროფკავშირთა ბელადი, ხოლო არსებითად სოციალ-დემოკრატი.

მათ დაიმსახურეს ბურჟუაზიის ნდობა. ისინი მფარველობდენ კაპიტალიზმს, აძინებდენ მუშათა კლასის ნებას და გზას უბნევდენ პროლეტარიატს.

როცა ბურჟუაზია უცხადებს ამ ხალხს ნდობას, ამით ის ნდობას უცხადებს ეგრედ, წოდებულ, მთელ საერთაშორისო სოციალ-დემოკრატიას. მთელს მეორე ინტერნაციონალს, მთელს ამსტერდამს.

სოციალ-დემოკრატების ხსოვნის პატივისცემა მეფეების მხრივ ამჟღავნებს იდეურ კავშირს სოციალ-დემოკრატებსა და ბურჟუაზიულ-ფეოდალურ რეაქციას შორის.

სოციალ-დემოკრატიის არსებობა ამტკიცებს, რომ ჯერ კიდევ ცოცხალია წყეული მონური ტრადიციები (ჩვეულებები, ადათი). ამდენი წლის ომებისა და ვერსალის დამპალი „ზავის“ შემდეგ სოციალ-დემოკრატია ჯერ კიდევ ხოხავს. ის ჰყარს, მაგრამ კიდევ ებღაუჭება ცხოვრებას. მას სიცოცხლეს უგრძელებს ბარმატის ოქრო, მას მხარში უდგას ბურჟუაზია და ის სცოცხლობს და ბედავს ცხოვრებას.

აი რაშია მუშათა კლასის უბედურება.

მაგრამ ამ საზიზღრობასაც ბოლო აქვს.

ნელი ნაბიჯით წინ მიდის მუშათა კლასის გამოღვიძება. მეფეებთან გულჩვილი დაძმობილება შეიძლება მხოლოდ ჩამორჩენილ ქვეყნებში. საჭიროა რევოლიუციონურ მუშაკთა შეუპოვარი მუშაობა, რათა საბოლოოდ გაწყდეს მონობისა და მოტყუილების ჯაჭვი. და ის აუცილებლად გაწყდება, როგორც გაწყდა თავის დროს „ხალხის სიყვარული“ რუსეთის მეფისადმი, ნდობა ბურჟუაზიის, ესერებისა და მენშევიკებისადმი.

ეს მოხდება ასე, რაც დახმარებაც არ უნდა გაუწიოს კაპიტალმა თავის ერთგულ სოციალ-დემოკრატ მოსამსახურეებს“.

## საფოსტო-ტელეგრაფის ხელშეკრულება საბჭოთა კავშირსა და პოლონეთს შორის.

საბჭოთა კავშირსა და პოლონეთს შორის დამტკიცებულ იქნა საფოსტო—ტელეგრაფო ხელშეკრულება.

# სამხედრო საქმე

## ლეგიონის არტილერიის თვისებები და მისი დანიშნულება.

დიდი ხანი არ არის მას შემდეგ რაც ქვეითი ლეგიონებში შემოღებული იქ ნა ეგრედ წოდებული ლეგიონის არტილერია.

ქვეითი ჯარისათვის აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს შეისწავლოს მისი თვისებანი და დანიშნულება. ყველასათვის ცხადი უნდა იყოს, რომ არტილერიის უმთავრესი დანიშნულებაა ცეცხლის საშვალებით გაუკაფოს გზა ქვეითი (ცხენოსან) ჯარს. ერთი სიტყვით არტილერიამ თავისი ერთად ერთი საშვალებით, ცეცხლით უნდა შექმნას ისეთი მდგომარეობა, როდესაც ქვეითი ჯარს შეეძლება დასმულ ამოცანის შესრულება მინიმალურ მსხვერპლის გაღებით. ეს ასედაც ხდება, მაგრამ აქ ერთ გარემოებას უნდა მიექცეს ყურადღება. მაშინ როდესაც ქვეითი ჯარი იმდენათ დაუახლოვდება მტრის პოზიციებს, რომ შესაძლებელია მასზე იერიშით მისვლა, რისთვისაც საჭიროა არტილერიის დახმარება თავის ცეცხლით, უკანასკნელი იძულებულია, ხელი აიღოს სანგრებზე ცეცხლის წარმოებისაგან და ასეთი გადაიტანოს სხვა მიზნებზე. ეს გამოწვეულია მით რომ სანგრებისა და შემტევი ნაწილების შორის მანძილია იმდენათ მცირეა, რომ საშიშია შემტევი ნაწილი დაზიანებული არ იქმნეს თავისივე არტილერიით. იგივე უნდა ითქვას მოიერიშეზე. მაშინ როდესაც მოპირდაპირე ნაწილების სანგრებს მიუახლოვდება და ესეც არის მოიწადინებს იერიშზე გადმოსვლას და დგება მომგერიებელისათვის კრიტიკულ მომენტი, არტილერია სწყვეტს ცეცხლს და ამ რიგ ქვეითი ჯარი მოსწყდება თავის მეგობარს არტილერიას.

გარდა მოყვანილ შემთხვევებისა, ხშირია ისეთი მაგალითები ომის წარმოების დროს, როდესაც არტილერია მიუხედავათ სურვილისა, უძლურია დახმარება გაუწიოს ქვეითი ჯარს თავის ტეხნიკურ დაბრკოლებების გამო. აქედან შეიძლება გამოყვანილი იქმნას შემდეგი დასკვნა: ბრძოლის პირობებში ხშირია ისეთი მდგომარეობა, როდესაც არსებული არტილერია, მიუხედავათ მისი ძლიერი ცეცხლის, უძლურია შეასრულოს მისი უმთავრეს[ი] დანიშნულება—ხელი შეუწყ[ოს] ქვეითი ჯარს. ეს არის დი[დი] შესანიშნავი ნაკლი თანამე[დ]როვე არტილერიისა. ამას უ[ნ]და მიექცეს ყურადღება და ა[რ]ტილერია ისე უნდა მოეწყ[ოს] ორგანიზაციულად, რომ მ[ას] შეეძლოს მაქსიმუმი დახმარ[ე]ბა გაუწიოს ქვეითი ჯარს. ა[ღ]ნიშნულია, რომ თანამედრო[ვ]ე არტილერია ვერ აკმაყოფ[ი]ლებს ქვეითი ჯარს.

ხდება ეს იმით რომ არტილერიის არსებული გვარეობა[ნ] არ არის საკმარისი. აუცილე[]ბელი შეიქმნა ისეთი არტილ[ე]რიის შემოღება, რომლის კო[ნ]სტრუქცია საშვალებას მისც[ემ]და, ყოველგვარ მდგომარეო[]ბაში საჭირო დახმარება გაეწ[ია] ქვეითი ჯარისათვის და მხა[რი] ქნებოდა სათანადო მოქმედ[ებ]ისათვის უეცრივ გამოჩენი[ლი] მტრის ტეხნიკური საშველებ[ის] წინააღმდეგ. ეს კი მოსახერხ[ე]ბელია მაშინ, როდესაც არტ[ი]ლერია იქნება აქვე ახლოს ქვ[ე]ითი ჯართან უშუალოდ [] იცოცხლებს ქვეითი ჯარის შე[]ბეჭდილებით. საჭიროა ყოვე[ლ] ლეგიონში შემოღებული იქ[]ნას ისეთი არტილერია, რომე[]ლიც შესძლებს, ქვეითა ჯა[რ]თან ერთად უტიოს მტერს [] ქვეითი ჯარის მოქმედების [] ლებში იჭერდეს პოზიციებ[ს] აქ მხოლოდ საჭიროა გავა[რ]ჩიოთ, თუ რას წარმოადგე[ნს] „გამყოლი“ არტილერია [] „ლეგიონის“ არტილერია.

გამყოლი არტილერია-წა[რ]მოადგენს ოცეულს, ან კიდ[ევ] მთელ ბატარეის სადივიზიონ[ო] არტილერიიდან, რომელიც ქვ[ე]ითი ჯარს მიეცემა გამყოლა[დ] შექმნილ ბრძოლის პირობებშ[ი] მაშინ როდესაც სადივიზიონ[ო] არტილერია შექმნილ პირობ[ე]ბის გამო ვერ ასრულებს საჭ[ი]რო ამოცანას. ასეთი გაყოლ[ა] ხანმოკლეა. ბრძოლის გათავ[ე]ბისას გამყოლი არტილერ[ია] კვლავ უბრუნდება თავის ნ[ა]წილს.

სულ სხვაა ლეგიონის არტ[ი]ლერია.

ის ორგანიზაციულად შე[]ლეგიონის შემადგენლობაშ[ი] მას ის მუდამ თან ახლავს [] მასთან ერთად უტევს მოპი[რ]დაპირეს მოწინავე ნაწილებთა[ნ].

გ.

## მიწის მუშის მეურნეობა და კოოპერაცია.

III

### შემსყიდველი კოოპერაცია.

კოოპერატიული შესყიდვა და კოოპერატიული გასაღება,—ორი სახეა კოოპერატიულ მოქმედების, რომელსაც უახლოესი კავშირი აქვს მიწის მუშის სამეურნეო მოქმედებასთან. კოოპერაციის ორივე სახეს მიზნად აქვს ბრძოლა სავაჭრო კაპიტალთან, რომელიც ეწევა მიწის მუშის ექსპლოატაციას.

შემსყიდველი კოოპერაცია, ყიდულობს მიწის მუშისათვის აუცილებელ ნივთებს; მეორე სახე კოოპერაციის იცავს მიწის მოქმედის ინტერესს, სამეურნეო პროდუქტების გასაღების დროს.

შემსყიდველ კოოპერაციის განვითარება მჭიდროდ დაკავშირებულია სასოფლო-მეურნეობის ინტენსიფიკაციასთან.

მეცნიერულმა აღმოჩენებმა უახლოეს ხანაში, ძირიანად შესცვალეს ადამიანის შრომის დამოკიდებულება სასოფლო-მეურნეობის ძირითად ელემენტთან—ნიადაგთან.

მას შემდეგ რაც განვითარდა აგრონომიული ქიმია, მიწის მუშას საშუალება მიეცა დედამიწის ნიადაგზე გაბატონებისათვის. ის უკვე აღარ არი დამოკიდებული ბუნების კაპრიზიდან და აგრონომიული ცოდნით შეიარაღებული თავის ნებით განსაზღვრავს სამეურნეო მიზნებს. თუ ადრე ნეხვი და ბუნება ანოყიერებდა ნიადაგს, ეხლა მეურნეს შეუძლია ქიმიურ ელემენტებით:

ფოსფორულ სიმჟავით, კალით, აზოტით, ასაზრდოოს მცენარე.

მიწის დამუშავების წინაშე იშლება ახალი პერსპექტივები, მეურნეს შეუძლია ხელოვნურ განოყიერებით ასწიოს მიწის შემოსავლიანობა. ამას კიდევ დაუმატოთ მანქანები, როგორიც არი ტრაქტორი და მრავალი სხვა... უკანასკნელად სერიოზულ ფაქტორი სოფლის—მეურნეობაში ნედლი მასალის გადამუშავება. ყველა ამას, როგორც გასანოყიერებელ მასალის, აგრეთვე ს—მეურნეობის მანქანებს შესყიდვა უნდა, განსაკუთრებული ორგანიზაცია—შემსყიდველ კოოპერატივების სახით.

ძირითადი ამოცანები შემსყიდველ ორგანიზაციის არის შემდეგი:

1) შუამავალის გარეშე დაიკავოს კავშირი პირდაპირ ფაბრიკანტთან.

2) შეისყიდოს სამეურნეო მასალა ზედმეტ ხარჯების გარეშე

3) მიაწოდოს მიწის მომქმედს ვარგისი საქონელი გამოსადეგი მეურნეობისათვის.

თუ რა მნიშვნელობა აქვს შემსყიდველ კოოპერაციას ეს იქედანაც სჩანს, რომ 1917 წელს გერმანიაში საკავშირო 26 ცენტრალურმა ამხანაგობამ შეისყიდა:

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 96 | მილ. ფუ. | სასუქი | 115 | მილ. | მარკ. | ღირებული |
| 30 | „ —— „ | საკვები | 119 | „ —— | „ —— | „ |
| 6 | „ —— „ | სათესლე | 38 | „ —— | „ —— | „ |
| 73 | „ —— „ | ნახშირი | 15 | „ —— | „ —— | „ |
| 1.-1. | | მეურ. იარაღ. და მანქანები | 8 | „ —— | „ —— | „ |

დღევანდელ საბჭოთა რესპუბლიკებში, სადაც სოფლის მეურნეობის გაჯანსაღება მთავარ ამოცანად სდგას, შემსყიდველ კოოპერატივებს უდიდესი მნიშვნელობა აქვთ.

კოოპერატიული შემსყიდველი ორგანიზაცია, აიაფებს ს—მეურნეობის პროდუქტს. მისი საშუალებით შესაძლებელი ხდება, მასსიურ შესყიდვის დროს მეცნიერულ ძალების გამოყენება და ამნაირად შემსყიდველ თანხის რაციონალური გამოყენება.

## ანტი-ფაშისტური მოძრაობა საფრანგეთში.

ანტი—ფაშისტური კომიტეტის მოწოდებას გამოეხმაურ[ა] 6.000 მანიფესტანტი. კომუნისტი დეპუტატი ფორლევენი [] ცრომის კონფერენციის ლიდერი ნატტონი მოუწოდებდ[ენ] მიტინგებზე მასებს გამოცხადდენ მოქმედების კომიტეტის პ[ი]რველ დაძახილისთანავე.



## ადგილობრივი ხელისუფლება ყურადღებას არ გვაქცევს.

6 სე ლეგიონის მეცხრე ასეულში წვევამდელთა შემადგენლობასთან მეცადინეობა დაიწყო 20 თებერვლიდან. მეცადინეობა სწარმოებს ყოველდღიურად სისტემატიურად. პირველ გაკვეთილებზე გადიან ანთვარჯიშობას.

ადგილობრივ უკომიდან ასეულში დანიშნულია ოთხი ამხანაგი, რომლებიც ჯერ წინასწარ ემზადებიან ასეულის პოლიტ—ხელმძღვანელთან და შემდეგ გადიან მასაში სამეცადინოთ. ამასთანავე გვიხდება ასეულ საუბრების ჩატარება ასეულში, რომელიც გაყოფილია ოთხ ჯგუფად. თითეულ ჯგუფში ითვლება 30 კაცი. ...ლები თავის დროზედ მოდიან და დეზერტირობას ადგილი არა აქვს. მართალია პირველად არ იყო საქმისადმი ...რთსულოვანი განწყობილება მაგრამ როდესაც შეიგნეს ტერიტორიის მნიშვნელობა ეხლა დიდი კმაყოფილი არიან თავისი ხვედრით. გვაქვს მოწყობილი სამკითხველოც.

ჟურნალ გაზეთებს თითქმის სისტემატიურად ვღებულობთ სამკითხველოშივე გვაქვს მოწყობილი ლენინის კუთხე, მხოლოდ სამეცადინო ბინა ვერ გვაკმაყოფილებს. არა გვაქვს არც სკამები და არ მაგიდა.

ბევრჯერ მივმართეთ ადგილობრივ ხელისუფლებას, მაგრამ დახმარება არ აღმოგვიჩინა. შეკეთება უნდა აგრეთვე ყაზარმასა, მაგრამ არავინ თავს არ იტეხავს.

ასე რომ ადგილობრივი აღმასკომი ნაკლებათ ყურადღებას გვაქცევს, და თუ არ იქნა შეძენილი სამეცადინო სკამები და მაგიდები, ძლიერ შეფერხდება მეცადინეობის საქმე. საჭიროა ყურადღება მოგვექცეს.

დ. ჭანკვეტაძე.

## პირველი დივიზიის საარტ. სკოლა საფაბრიკო-საქარხნო სკოლაში.

24 თებერვალს უნცროს მეთაურთა მოსამზადებელი საარტილერიო სკოლა მიწვეული იყო ცენტრ. საფ. საქარხნო სკოლაში.

სკოლაში მისვლისთანავე წინ შეგვეგება ძველი ჩვენი პოლიტ-მომუშავე, წითელ არმიელების ნაცნობი ამხ. კუტუბიძე, რომელმაც მიგვიპატიჟა სკოლის კლუბში.

პირველით დავათვალიერეთ სამკითხველო, ლენინის კუთხე და როდესაც გაისმა საზეიმო დროშის გახსნის ნიშანი. ჩვენც სწყობრათ შევედით კლუბის დარბაზში.

ძლიერ გვაინტერესებდა თუ როგორი თვალით დაგვ წყებენ ცქერას დამხდური საფაბრიკო სკოლის მოწაფეები, ...შა-მოსამსახურეები და ...ქვე ...პატიჟებული ახალგაზრდა პიონერები. შევედით თუ არა ასეთ ...ტაში ძახილი „გაუმარჯოს ჩვენს სტუმრებს ამხ. წითელ არმიელებს“.

ასეთმა შეხვედრამ წითელ არმიელები აღფრთოვანებაში მოიყვანა და ერთხმად მიესალმნ სკოლასთან დაკავშირებას.

შემდეგ საფაბრიკო საქარხნო სკოლის უფროსმა გახსნა წითელი არმიის 7 წლის თავის აღსანიშნავი საზეიმო კრება. პირველად მისასალმებელი სიტყვები წარმოთქვა ჩვენი პარტ-სკოლის და არტ-ლეგიონის სახელით.

საპასუხო სიტყვით გამოვიდა ამხ. კუტუბიძე დღესასწაულების შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. იაროსლავსკიმ, რუსულ ენაზე რომელიც გადაითარგმნა ქართულ ენაზე.

საზეიმო საღამოს პირველ ნახევრის დამთავრების შემდეგ, საფაბრიკო სკოლის უფროსმა მიგვიწვია თავიანთ სასადილოში.

შემოუსხედით მაგიდებს გარშემო და ამხანაგები შეძლებისდაგვარად გაგვიმასპინძლდენ, არც ერთი წუთითაც მხედველობიდან არ გამოუშვიათ, კურსანტებს, რომ ისინი იმყოფებოდენ თავიანთ ძმებსა და ამხანაგებთან.

ვახშმის დამთავრების შემდეგ მიგვიწოდეს საზეინკლო ცეხში, რამაც დიდი შთაბეჭდილება გამოიწვია ჩვენში.

საღამოს მეორე ნახევარში გვიჩვენეს კინო სურათები.

აქ ვიხილეთ „სამი წლის თავი ცხენოსანი არმიის და მისი საომარი მოქმედება.“

შემდეგ წავიდა 4-მოქმედებიანი პიესა მუშათა ცხოვრებიდან, მერე კი სახუმარო კომედია და ამით დამთავრდა ჩვენი სტუმრობა ცენტრ. საფ.—საქარხნო სკოლაში. ასეთმა შეხვედრამ ძლიერ დაგვაკმაყოფილა.

სკოლამ დიდის ამბით გამოგვაცილა და გვთხოვეს ხშირად მისულიყავით მათთან.

ვ. კვ—ძე.

## რა გვითხრეს სოფელ ხაშმის გლეხებმა.

22 თებერვალს ქ. წყალსადენის, მთავარ სახელოსნოს ორგანიზაციის საშეფო კომისია და მათთან ერთად მე-6-სე მსროლელ ლეგიონიდან ერთი წარმომადგენელი, გაემგზავრენ სოფ. ხაშმში (გარე-კახეთში). კომისიას მიზნათ ჰქონდა დასახული მომავალ დღესასწაულების შესახებ ჩაეტარებია კომპანია და დაეთვალიერებია სოფელში გამოსაყვან წყლის სათავე.

ჩავიდა თუ არა კომისია სოფელში შეუდგა თავის საქმეს. დაათვალიერა წყლის სათავე და შემდეგ მოიწვია საერთო კრება.

კრებას დაესწრო თითქმის მთელი სოფელი და დიდი ყურადღებით მოისმინეს მოხსენებები. გლეხებმა და გლეხთა ქალებმა, მოხსენებების შემდეგ გამოსთქვეს თავისი აზრი და განაცხადეს — „მართალია ჩვენი სოფელი მენშევიკების ბუდე იყო, თითქმის ჩვენი სოფლის გლეხობიდან 30 პროც. მეტი იყვნენ მენშევიკების პარტიაში და მათ დამცველ გვარდიაში, რომლებიც გვასაზრდოებდენ მარტო ცარიელ სიტყვებით და დაპირებებით. მაგრამ ეხლა მათ ზურგი შევაქციეთ. დღეს გაგვიღიმა ბედმა. მას შემდეგ რაც, რომ საბჭოთა ხელისუფლება დამკვიდრდა საქართველოში, ჩვენს გლეხობას მიეცა დუხჭირ ცხოვრებიდან გამოსვლის იმედი, რომელიც ყოველ დღიურათ გვიმართლდება.

საბჭოთა ხელისუფლების დროს გამოყვანილი იქნა სოფელში წყალი. ამჟამად ის გამოყვანილია თითქოს ერთ ვერსნახევარზე საბჭოთა ხელისუფლების და ქ. წყალსადენის მუშების დ ხმარებით. ასეთი რამდენი სხვა რამ მოგვცა საბჭოთა ხელისუფლებამ. განათლება და ვინ იცის კიდევ რა.

ამისათვის ჩვენ ხაშმის პატიოსანი მშრომელი გლეხობა ვალდებულათ ვსთვლით ჩვენს თავს, რომ საბჭოთა ხელისუფლებას და მის გაძლიერებას ყოველთვის შეუწყოთ ხელი და უკანასკნელი ჩვენს ენერგიას დავხარჯავთ რათა უფრო გაძლიერდეს ჩვენი და მუშების კავშირი“.

და—ია.

## 1-ლ ლეგიონის საკლუბო მუშაობა.

თებერვალი.

**კლუბის მთავარი ამოცანები.**

მეთოდიანი მუშაობის საწარმოებლათ საკლუბო სემინარებზე გარჩეულ და მიღებულ იქნა საკლუბო გამგეობის მიერ სათანადო გეგმა, რომლის მიხედვით იწარმოებდა ნაწილებში მუშაობა.

თებერვლის თვის განმავლობაში კლუბს მიზნათ ჰქონდა დასახული ორი დიდი კომპანიების—წითელ არმიის 7 წლის თავის და საქართველოს გასაბჭოების 4 წლის თავის ჩატარება, რაც ნაყოფიერად იქნა ჩატარებული.

**ლენინის კუთხეები.**

ყველა ლენინის კუთხეები შესაფერისად იქნა გადახალისებული 23 და 25 თებერვლის დღესასწაულებისათვის. დარიგებული იქნა სხვა და სხვა შინაარსის ლოზუნგები და პლაკატები. აღნიშნულ დღეებში ლენინის კუთხეებისათვის იდეიური სახის მუშაობის საწარმოებლათ ყველა პოლიტხელებს გადაეგზავნათ მუშაობისათვის საჭირო გეგმები, რომლის მიხედვითაც 16 თებერვლიდან სწარმოებდა მუშაობა.

ამ თვის განმავლობაში ლენინის კუთხეებში მუშაობას მიეცა შედარებით წარმატებითი ხასიათი. ხსენებულ დღესასწაულის ჩასატარებლათ ყველა ლენინის კუთხეებში აქტივის ტების მეოხებით გამოცემული იქმნა შესაფერისი კედლის გაზეთები. აგრეთვე თებერვლის გეგმაში მიეცათ ლენინის კუთხეების ხელმძღვანელებს ცნობები იმის შესახებ, თუ რომელი აქტივისტთა ჯგუფებია ლენინის კუთხეებში საჭირო მომავალ მუშაობისათვის.

**წრეები.**

წრეებიდან განსაკუთრებული ინტერესი გამოიჩინა მომღერალთა წრემ, რომელშიაც დიდი სიხარულით ეწერებიან წითელი არმიელები.

წრეში აქტიურ მომუშავეთა რიცხვი აღწევს 20-მდე.

პოლიტ-წრემ, რომელსაც სათავეში ჩაუდგა პოლიტ-ხელმძღვანელი ამხ. ლიქავა, მოახდინა ახალი წევრების მიღება და წრის გადახალისება.

აღნიშნულ წრეს ჯერ მასიური გამოსვლები არ უწარმოებია.

დრამ წრის მუშაობა ჩვეულებრივი და სისტემატიური ხასიათით მიმდინარეობს.

დანარჩენი წრეების—სამხედრო ცოდნის, სპორტ და ლიტ-წრეები ჯერ კიდევ ვერ დგანან თავის სიმაღლეზე.

ვ. სიხარულიძე.

# პარტიული ცხოვრება

## დაუკავშირდით სამოქალაქო უჯრედებს.

20 თებერვალს შესდგა პირველ ცალკე საკავშირო ასეულის კომუჯრედის ღია კრება, რომელსაც დაესწრენ ყველა უპარტიო არმიელები.

დღის წესრიგში იყო: სამოქალაქო უჯრედებთან დაკავშირება და დღესასწაულების შესახებ მოხსენება.

სამოქალაქო კომუჯრედებთან კავშირის შესახებ სიტყვით გამოვიდა ამხ. ახალაშვილი, რომელმაც დაწვრილებით გააცნო ამხანაგებს კავშირის მნიშვნელობა და თუ რა სარგებლის მოტანა შეუძლია მას ჩვენი უჯრედისათვის განსაკუთრებით.

სხვათა შორის ამხანაგმა ხაზი გაუსვა იმ გარემოებასაც, რომ იმ სამოქალაქო მუშათა ორგანიზაციას, რომელთანაც კავშირი აქვს საკავშირო ასეულის უჯრედს, ჯერ არ გამოუგზავნია თავისი კაცი ჩვენი უჯრედის სხდომებზე დასასწრებლად. ასეთი კავშირიო აღინიშნავს ამხანაგი სრულიად გამოუსადეგარია და ვერავითარ სარგებლობას ვერ მოგვიტანს. საჭიროა ის სისუსტე, რომელსაც ადგილი აქვს ამ ორგანიზაციებთან ურთიერთობის დაჭერაში ეხლავე იქნეს გამოსწორებულიო.

შემდეგ კრებამ აირჩია განსაკუთრებული კომისია, რომელმაც დღესასწაულებისათვის სამზადისი პირნათლად შეასრულა.

სამხკორი შალაშინი.

## გაერთიანებული კრება.

19 თებერვალს შესდგა მესამე ლეგიონის მესამე და მეოთხე კომუჯრედების გაერთიანებული კრება, სტამბის კომუჯრედთან ერთად.

კრებაზე გაკეთდა მოხსენებები საქართველოს გასაბჭოების ოთხი წლის თავის და წითელი არმიის 7 წლის თავის შესახებ. მოხსენებლებმა საკმაოდ გასაგებათ გააშუქეს დღესასწაულების მნიშვნელობა. აქ აღნიშნული იქნა წითელ არმიის გმირული ბრძოლები მისი შვიდი წლის არსებობის განმავლობაში და ყველა მიღწევები კულტურულ და ეკონომიურ ფრონტებზე.

საქართველოს გასაბჭოების ოთხი წლის თავის გამო მოხსენება გააკეთა სამოქალაქო—სტამბის კომუჯრედის წევრმა ამხ. ეკვტიმიძემ, რომელმაც ფართედ გააშუქა საბჭოთა საქართველოს მიღწევები ოთხი წლის თავზე.

კრების მიერ გამოტანილ იქმნა შესაფერისი რეზოლიუცია.

კარგი იქნება ხშირათ მოხდეს ასეთი გაერთიანებული კრებები სამოქალაქო ორგანიზაციებთან, რადგანაც ერთმანეთის გაცნობას და დაახლოებას დიდი ნაყოფის მოტანა შეუძლია.

პარტკორი გ. გადახაბაძე.

## კიდევ უშვერი სიტყვები.

წითელ ჯარში მთელი გულის ყური იქეთკენ არის მიპყრობილი, რომ წითელ—არმიელებმა მიიღონ სათანადო აღზრდა განვითარება პოლიტიკურად, ლიტერატურულად და სხვა. არა ნაკლები ყურადღება ექცევა მათ წესიერ მოპყრობას მეთაურ შემადგენლობასთან და ურთიერთშორის. ყოველგვარი ცუდი სიტყვებით მიმართვას ასეულში ბოლო ეღება თანდათან, მაგრამ სამწუხაროდ ზოგიერთი მეთაურები კიდევ ვერ გადაჩვევიან მას. ასე იქცევა პირველ მესანგრეთა ასეულის თავი ამხ. ჯიქია. ამხანაგს ყოველ მეცადინეობის დროს არ შეუძლია დაილაპარაკოს ისე, რომ უშმაწურად, უხეშად და დაგინებით არ მიმართოს წითელ—არმიელებს. მერე რაზედ? სულ ტყუილა უბრალოთ. სწავლების დროს არმიელები ხშირად ვერ გებულობენ რამეს. იმის მაგივრად, რომ აუხსნას და გააგებინოს მათ რამე, დაიწყებს ყვირილს, გინებას და ვინ იცის რას არ უწოდებს მათ. („ვირი“ და სხვა ისეთი სიტყვები, რომელთა თქმაც კი სამარცხვინოთ მიმაჩნია).

როდესაც შეგნებული პირი და ისიც მეთაური, რომელმაც უნდა აღზარდოს წითელ—არმიელი ასე იქცევა, რას იზამს მაშინ წითელ—არმიელი; რა უნდა ისწავლოს ასეთი უფროსისაგან? ცხადია კარგს არაფერს ისწავლის.

საჭიროა ყურადღება. ასეთ მიმართვას ბოლო უნდა მოეღოს წითელ—ჯარის რიგებში.

წ. არმ. ბობოშვილი.

# სროლის კაბინეთი ცხენოსან ლეგიონში.

უკვე ერთი თვეა, რაც ლეგიონში მოწყობილია სროლის კაბინეთი. კაბინეთში მოთავსებულია სხვა და სხვა სისტემის იარაღების კოლექცია და სასროლის საქმის ხელსაწყობები. კაბინეთი ამას გარდა მორთულია სხვა და სხვა პლაკატებით და ლოზუნგებით.

თვით კაბინეთში გამოყოფილია ქიმმოყვარულთა კუთხე, სადაც ვეცნობით სხვა და სხვა ნაირ ანტაირებს, გიდრო-პულტებს, ბალონებს და სხვა და სხვა ქიმიურ მოწყობილებებს.

მეცადინეობა კაბინეთში სისტემატიურად ვერ მიმდინარეობს, ამ უკანასკნელის ჯერ კიდევ სავსებით მოუწყობლობის გამო. იარაღის გამგის ამხ. აბრამიშვილის მუშაობით იმედია ეს დეფექტი გამოსწორდება ამ ახლო მომავალში.

საჭიროა ყურადღება მიექცეს სივიწროვეს სასროლი კაბინეთში, და უკანასკნელის თავიდან ასაცილებლად უნდა იქნეს არჩეული სათანადო შენობა.

**გეზი.**

# ექსკურსია წუმწუმის ქარხანაში.

28 თებერვალს საარტილერიო ლეგიონის 1—2—რე ბატარეიების კომუჯრედმა მოაწყო ექსკურსია წუმწუმის ქარხნის დასათვალიერებლათ.

ექსკურსიას ხელმძღვანელობდა კომუჯრედის მდივანი ამხანაგი გ. შალიკაშვილი.

დილით 10 საათზე ჩვენ მივედით მწყობრათ ხსენებულ ქარხანაში. აქ ჩვენ სიხარულით შეგვხვდენ მუშები და წითელ არმიელებს გვიწვევდენ ქარხნის სხვა და სხვა განყოფილებებში.

პირველათ დავათვალიერებიეს მატორიანი მანქანა, რომელიც ყოფილა 25-თი ცხენის ძალის და ამოძრავებს ქარხნის განყოფილებებს სხვა და სხვა დაზგებს.

შემდეგ გადავედით დანარჩენ განყოფილებებში და დავათვალიერეთ ქარხნის ყველა კუნჭულები. დათვალიერების დროს ჩვენ წავაწყდით ერთს უფრო გასაკვირველ დაზგას, სადაც მანქანა ამზადებდა წუმწუმის კარობკებს. ამან ძლიერ გააკვირვა ამხ. წითელ-არმიელები.

აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ ჩვენი ექსკურსიის შემადგენლობა კარგათ გაეცნო მუშების ყოფა-ცხოვრებას და საქარხნო წარმოების ზრდას.

აქედან სრული დარწმუნებული დავრჩით, რომ მუშები რიგიან პირობებში იქნებიან არსებითად და წარმოებაც მოგვიტანს კარგ შედეგს.

მადლობის ღირსია აღნიშნულ ექსკურსიის მომწყობი ამხანაგები, რომლებიც ცდილობენ ჩვენს პოლიტ-კულტ. აღზრდას.

უსურვებთ სხვა დროსაც მოეწყოთ ასეთი ხასიათის ექსკურსიები.

სამხკორი **ა. ნამკაშურელი.**

# რემედასის უჯრედის მუშაობა პ-ე ლეგიონში.

ჩვენს ლეგიონს არა აქვს დიდი ხნის ისტორია და სწორედ ამიტომ მას ჯერ კიდევ ვერ ჩამოუყალიბებია მუშაობა ყველა დარგებში ისე, როგორც საჭიროა.

დღემდე ლეგიონში რემედასის გამგეობის მუშაობა ძლიერ მოიკოჭლებდა, რასაც თავისი დამაბრკოლებელი მიზეზები ჰქონდა.

ამ ჟამად კი მისი საქმიანობა ცოტა გამოცოცხლდა, რემედასი არსებობს 24 წლის 1-ლ ნოემბრიდან.

ამ ხნის განმავლობაში ის აწარმოებს მუშაობას—შეძლების დაგვარად. დღეს დღეობით რემედასის წევრებად ითვლებიან ლეგიონში 440 კაცამდე, რომლებიც სისტემატიურად იხდიან საწევრო გადასახადებს.

რემედასის მნიშვნელობაზე—ბევრჯერ იქნა ჩატარებული მოხსენებები სადაც წითელ-არმიელები კარგათ გაეცვნენ მის დიდ მნიშვნელობას.

ჯერ-ჯერობით მხოლოდ ერთი რემედასის კუთხე გვაქვს მოწყობილი. მოკლე ხანში ყველა ასეულებში იქნება მოწყობილი ასეთი კუთხეები, რის შემდეგ უფრო გავაჩაღებთ მუშაობას.

დღემდე კი ჩვენი ლეგიონის რემედასის გამგეობის მუშაობა არ იყო დამაკმაყოფილებელი.

პარტკორი **ა. ჭკადუა.**

# ვის აქვს საწინააღმდეგო?

1-ლ ქ. მ. დივიზიის ცალკე საკავშირო ასეულის კომუჯრედში შემოტანილი აქვთ განცხადება კომპარტიაში კანდიდატებად მიღების შესახებ. ამხ. ამხ კომკავშირის წევრს, ჩიგოგიძე ნიკიფორე ალექსისძეს და უპარტიო წითელ არმიელებს: სიმონია იონა პავლეს ძეს ოდილავაძე ნიკოლოზ პავლეს ძეს აღნიშნული კომუჯრედი გთხოვთ თუ ვინმემ რაიმე საწინააღმდეგო იცით ხსენებულ ამხანაგებზე გვაცნობოთ ერთი კვირის განმავლობაში წერილობით ან სიტყვიერად.

მისამართი დავიდოვის ქუჩა № 6.

ცალ. საკავშირო ასეულის კომუჯრედის პას. მგებ.

მდივანი ახალაშვილი.

# საბჭოთა არჩევნების მიმდინარეობა.

— **ზემო წალკის თემი.** თემში უკვე დასრულდა სასოფლო საბჭოების არჩევნები. არჩევნებში მოსახლეობა დიდის აღფრთოვანებით ღებულობდა მონაწილეობას.

— **სოფ. კიშრინში.** საბჭოს არჩევნებში მონაწილეობა მიიღო 1364 ამომრჩეველმა. მათ შორის 207 ქალი იყო.

— **ავრანლინსკის საბჭო.** საბჭოს არჩევნები ჩატარდა დიდის აღფრთოვანებით. არჩევნებში მონაწილეობას ღებულობდნენ ქალებიც.

— **სოფ. ედიკელისში.** არჩევნებში მონაწილეობა მიიღო 800 ამომრჩეველმა. მათ შორის 150 ქალი იყო.

# ამბები სოფლებიდან

**წყალსადენის გასაყვანათ.**

სიღნაღის აღმასკომმა დაამტკიცა სოფ. ბაკურციხეში წყალსადენის გასაყვანი ხარჯთაღრიცხვა, რაც უდრის 6732 მანეთს.

**გლეხების შუამდგომლობა.**

სოფ. ვეჯინის (სიღ. მაზრა) გლეხებმა გადასწყვიტეს ადგილობრივ წყალსადენის შეკეთებისა და ახალი ხაზის გასაყვანათ საჭირო ხარჯები თვით იკისრონ, ხოლო ტეხნიკურ დახმარებას სთხოვენ აღმასკომს.

**პროპაგანდა მეურნეობაზე.**

რაჭის აღმასკომის აგრანომიულმა განყოფილებამ განიზრახა გაზაფხულისათვის მთელ მაზრაში დაიწყოს, მეურნეობის გაუმჯობესების მიზნით ცალკე კამპანია.

**სოფლის შუამდგომლობა.**

სოფ. ნიაბის (გორის მაზრა) მცხოვრებლებმა აღძრეს შუამდგომლობა გორის აღმასკომის წინაშე სოფ. ახალქალაქის თემზე მიწერის შესახებ. აღმასკომმა დააკმაყოფილა სოფლის შუამდგომლობა.

**სასამართლოს დაახლოვება სოფელთან.**

გორის აღმასკომმა დაადგინა, თანახმათ სურამის თემაღმასკომის შუამდგომლობისა ითხოვოს სადაც ჯერ არს, რომ ოლქის სასამართლოს სესიები იმართებოდეს სურამშიაც.

**საექიმო პუნქტის გადატანა.**

სოფ. გომში (ქართლი) არსებული საექიმო პუნქტი სამაზრო აღმასკომის დადგენილებით გადატანილ იქნება სოფ. ვაყაში.

**ფილოქსერასთან ბრძოლა.**

საქარის სავენახე სადგურთან (შორ. მაზრა) შეუდგენ ახალი სანერგეს აშენებას, სადაც გაშენებულ იქნება ამერიკული ვაზები.

**მევენახეობის ასაყვავებლათ.**

მიწ.-მოქ. სახ. კომისარიატის მეთაურობით კახეთში შეუდგენ მევენახეობის საცდელ სადგურისათვის წყალსადენის გაყვანას.

# სამხედრო ტრიბუნალი.

2 თებერვალს ქართულ სამხედრო ტრიბუნალმა ამხ. გოგიჩაიშვილის თავმჯდომარეობით ამავე ტრიბუნალის დარბაზში განიხილა 1-ლ ქართულ დივიზიის საკავშირო ასეულის წ. მ. ვარლამ მიტროფანის-ძე კანდელაკის საქმე, რომელსაც ბრალი ედებოდა ბრძანების აუსრულებლობაში და თავის პირდაპირ უფროსებზე მწყობრის თავის იოსელიანზე სიტყვიერი შეურაცყოფის მიყენებაში.

სასამართლოს სხდომაზე გამოირკვა შემდეგი: 8 იანვარს თანახმად საკავშირო ასეულის თავის ბრძანებისა, რათა გაეკრიჭათ ასეულში ყველა წითელ მოლაშქრეები, მწყობრის თავს იოსელიანს უბრძანებია წ. მ. კანდელაკისათვის, რომელიც მსახურებდა 1-ლ დივიზიის შტაბის ქვესადგურში, რათა დაუყონებლივ გაეკრიჭა თავი. ბრალდებულ კანდელაკს ასეთი არ შეუსრულებია, მწყობრის თავს იოსელიანს ხელმეორეთ გაუცია განკარგულება, მაგრამ კანდელაკს მაინც არ შეუსრულებია და მიუმართავს უშვერი სიტყვებით. მას შემდეგ მწყობრის თავს იოსელიანს მოუხსენებია სამხედრო კომისრისთვის, და თან მიუცია პატაკი, რის შემდეგ ბრალდებული კანდელაკი დაუპატიმრებიათ და მიუციათ პასუხისგებაში. სასამართლოს სხდომაზე გამოირკვა აგრეთვე ის გარემოება, რომ მწყობრის თავი იოსელიანი ახირებული სიტყვებით მიმართავდა, როგორც ბრალდებულ კანდელაკს, აგრეთვე სხვა წ. მოლაშქრეებსაც. ეძახდა კანდელაკს „ლოიდ-ჯორჯს", და სხვებს „ბლოგოჩინს" „ბატს" და სხვას. ბრალდებული კანდელაკი არ სცნობს თავს დამნაშავედ წაყენებულ ბრალდებაში და იძლეოდა არა სწორ ჩვენებებს, რაზედაც წინააღმდეგ აჩვენეს მოწმეებმა. სასამართლომ დამტკიცებულათ სცნო მასზედ წაყენებული ბრალდებები და მიუსაჯა მას კანდელაკს ბრძანების აუსრულებლობისათვის ერთი წელი გამასწორებელ სახლში მოთავსება თავისუფლების აღკვეთით სამოქალაქო უფლებების შეუზღუდველათ. სიტყვიერი შეურაცყოფისათვის ექვსი თვე გამსახლში მოთავსება თავისუფლების აღკვეთით. საბოლოო სასჯელით დაუტოვა ერთი წელი თავისუფლების აღკვეთა გამსახლში მოთავსებით. მწყობრის თავი იოსელიანის მიმართ, ტრიბუნალმა დაადგინა აღიძრას სისხლის სამართლის დევნა და მიცემულ იქნას პასუხისგებაში.

**გნია.**

# ᲐᲑᲐ ᲒᲐᲛᲝᲘᲪᲐᲜᲘ?

ამოცანა № 4.

ერთმა ვაჭარმა თავის სამ შვილს აჩუქა 24 მანეთი. თითოეულს უნდა აეღო ამ თანხიდან იმდენი, რამდენი წლის იყო თითოეული მათგანი. მაგრამ ვაჭარმა ურჩია შვილებს გაენაწილებინათ ეს ფული, როგორც ის ეტყოდა მათ.

მან უთხრა: „უნცროსმა თავისი ხვედრი ფულის ნახევარი თანასწორად გაუნაწილოს საშვალოს და უფროსს. შემდეგ საშვალომ გაუნაწილოს უნცროსს და უფროსს თავისი ფულის ნახევარი თანასწორად და ბოლოს ასე მოიქცეს უფროსიც". ამ რჩევის შესრულების შემდეგ, სამივე შვილს თანასწორად გაუნაწილდათ 24 მანეთი.

რამდენი წლის იყო უმფროსი, რამდენის საშვალო რამდენის—უნცროსი შვილი?

# შეცდომის გასწორება.

პირველი მარტის გაზ. „წითელ—არმიელის" № 46-ში გაიპარა შემდეგი შეცდომა: მესამე გვერდზე მოთავსებულ კორესპონდენცია ცალკე საკავშირო ასეულის სამზარეულოს უსუფთაობაზე. ნამდვილად კი კორესპონდენციაში აღნიშნულ დეფექტებს ადგილი აქვს პირველ დივ. ცალკე მესანგრე ასეულში.

# ᲐᲮᲐᲚᲘ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ

— **შრომის მუზეუმი.** ამ კვირაში ტფილისში გაიხსნება შრომის მუზეუმი, რომლის დათვალიერებაც შეუძლიანთ უფასოთ ყველა მუშკორებს და სამხკორებს.

— **მუშათა ჯანმრთელობა.** სოც. დაზღვევის სამმართველომ გადასწყვიტა ჩაატაროს ყველა წარმოებების მუშათა ჯანმრთელობის გამოკვლევა.

— **ტრაქტორების შეძენა.** საქ. უმაღ. ეკონომ. საბჭომ საჭიროდ სცნო მიმდინარე სამეურნეო წლის განმავლობაში შეიძინოს 25 ტრაქტორი აქედან 5 ტრაქტორს. შეიძენს სახ. მამულთა ტრესტი და 20 საქ. სას. სამ. ბანკი.

— **ჰიდრო ელსადგურები.** საქ. უმაღლ. ეკ. საბჭომ წინადადება მისცა საქ. საგეგმო კომიტეტს. გამოიმუშავოს საერთო გეგმა საქართველოში ახალ ჰიდრო-ელსადგურთა მოწყობა-აშენების შესახებ.

— **უმუშევართა ხელ-ახალი აღრიცხვის ჩასატარებლათ** ტფ. დამხმარე სალაროსთან დაარსდა ცალკე კომისია.

— **რამდენი ღვინო მოდ**[ის] საქართველოში. მიწ. მოქმე[დე]ბის კომისარიატის ცნობ[ით] მთელ საქართველოში ყოვე[ლ] წლიურად მოდის 5 მილ[იონ] ნახევარი ვედრო ღვინო.

— **„საამშენებლო ტ**[რე]**სტი".** საქ. უმაღლ. ეკ. [საბ]ჭომ დაამტკიცა ს. მ. უ. მიერ წარდგენილი წესდ[ება] „საამშენებლო ტრესტი"-ს[ა].

— **საარქიტექტურო-სამ**[შენებლო] **საბჭო.** საქ. უმაღ. [ეკ.] საბჭომ გადასწყვიტა შეად[გი]ნოს საარქიტექტურო-სამხ[ედ]რო საბჭო, რომელიც თვა[ლ]ყურს ადევნებს ქალაქებში [სა]მშენებლობის საქმეს.

— **ბამბის დამზადება.** მ[იმ]დინარე წლის განმავლობ[აში] ამიერ-კავკასიაში დამზადებ[ულ] იქნება 4 მილიონი ფუთი [ბა]მბა.

= **ნაწარმოებთა გაიაფ**[ება]. ცეკავშირის აბრეშუმის საქ[სო]ვი ქარხნის ნაწარმოებნი გ[ა]აფდა ნარდ სამუშაოზე გად[ას]ვლის გამო 15 პროცენტით.

# კ ი ნ ო.

## ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲖᲛᲘᲡ ᲛᲘᲙᲠᲝᲑᲘ.

თბილისის კინოებში ამ ჟამად მიდის სურათი, გამოცემული საკავშირო ცაკ ს მიერ სახელად „კომუნიზმის მიკრობი." სურათში ნაჩვენებია, თუ როგორ მზადდება მასალები, როგორ იბეჭდება და ვრცელდება გაზეთი „საკავშირო და სრულიად რუსეთის ცაკის უწყებები", გაზეთი, რომლის ტირაჟი უდრის 648. 000 ცალს.

მაყურებელს თვალ—წინ ეშლება ის გრანდიოზული მუშაობა, რომელსაც ასრულებენ გაზეთის თანამშრომელნი. ყოველ წუთს გაზეთის რედაქციაში მოდის სხვა და სხვა ამბები საბჭოთა კავშირის ყოველი კუთხიდან. რედაქტორთან მოდიან ცნობების და დარიგების მისაღებათ მუშები და გლეხები შორეულ სოფლებიდან. გლეხები სწუხან, რომ მიწა იძლევა ვაცოტა მოსავალს და ითხოვენ [რა]იმე დარიგებას—რჩევას. რე[დ]ქტორი უხსნის, თუ რო[გ]ორ უნდა დამუშავდეს [მი]წა, რომ ნაყოფი მეტი ი[ყოს] და უჩვენებს, თუ ამერიკ[ელი] გლეხი როგორ უვლის თა[ვის] მიწას.

სურათზე ნაჩვენებია აგრ[ეთ]ვე ის, თუ როგორ ავრცელე[ბენ] გაზეთებს. აი აქლემებით გაზ[ე]ბული სოფელში, იუნკერსით იჭრება შორეულ ინგლის[...] გემს მიაქვს ამერიკაში და ვრცელდება კაპიტალიზმის [...] ლუპველი სენი კომუნიზმი.

სურათი დიდებულათ არ[ის] გადაღებული. ის დიდ სარგ[ებ]ლობას მოუტანს ჩვენს წით[ელ] არმიელებს და სასურველი [იქ]ნება მისი ჩვენება ქართულ [ნა]წილებისთვის.

**ვ. ხუციშვილი.**

პასუხისმგებელი რედაქტორი **ლ. ჩანტლაძე**

ნ. დ. ს. ც. სამხედრო სტამბა კეცხოველის ქ. № 3.